პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ოთხშაბათი
13
აგვისტო
№ 189
(16315)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

წლიური გეგმა შეასრულეს

ჩხოროწყუს რაიონის მეჩაიეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 8 აგვისტოსათვის მოკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 12.543 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 12.530 ტონისა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ზუმის, კოლმეურნეობა „საქართველომ", ლეწურწუმის, თაიის კოლმეურნეობებმა, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

რაიონის ჩაის ფაბრიკებმა უზრუნველყვეს მიღებული მთელი ნედლეულის დროულად გადამუშავება. ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა აწონ-დაწონეს არსებული შესაძლებლობანი და **გადაწყვიტეს სეზონის დამთავრებამდე კიდევ მოკრიფონ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.** ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

მკთ თავი ისაუბრელეს

ვიმპელები გადაეცათ

ჯურის მკაში

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პურეულის მკა. პირველადვე დღეებში მოსავლის აღებაში დაწორაურდა მინაძის საბჭოთა მეურნეობა. აქაურმა მექანიზატორებმა ხუთ დღეში მომკეს 123 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწეს 18 ცენტნერი მარცვალი. მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ბარეთვე პიროტყვის საკვების დამზადება, თივის აღება და სენაჟის ჩადება.

ამ წარმატებებისათვის საბჭოთა მეურნეობას გადაეცა გაზეთ **„კომუნისტისა"** და **სოფლის მეურნეობის სამინისტროს** გარდამავალი ვიმპელი.

● **ასპინძა** (საკ. კორ.). გაჩაღდა პურეულის მოსავლის აღება. მოსავალს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ აწყვეტის კოლმეურნეობაში. აქ პურეული უკვე მომკეს 35 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე 16 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. კოლმეურნეობაში ასევე **ორგანიზებულად** მიმდინარეობს თივისა და სენაჟის დამზადება.

მოპოვებული **წარმატებებისათვის** აწყვიტის კოლმეურნეობას გადაეცა გაზეთ **„კომუნისტისა"** და **სოფლის** მეურნეობის **სამინისტროს** გარდამავალი ვიმპელი.

ჩაის კრეფაში

ხობი. (საკ. კორ.). ხუთდღიურის შეჯამების შედეგად დაწინაურდა ახალი ხიბულის კეროვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. კემულარია). სახელოვანმა მეჩაიეებმა ხუთ დღეში მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 58 ტონა ნედლეული, რაც კოლმეურნეობის მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულების 6,2 პროცენტს შეადგენს. მოკრეფილის პირველმა ხარისხმა 77 პროცენტი შეადგინა.

ახალხიბულელებმა ჩაის კრეფის წლიური გეგმაც შეასრულეს. ისინი სამშობლოს მაღე უპატიკებენ ვალდებულების შესრულებას.

კოლმეურნეობის მეჩაიეებმა, რომლებმაც ახალი ძალით გააჩაღეს პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, დათქვეს სეზონის ბოლოდან ვალდებულების გადამეტებით მოკრიფოს 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რაიონული ჟიურის გადაწყვეტილებით **„კომუნისტისა"** და **სოფლის მეურნეობის სამინისტროს** გარდამავალი ვიმპელი ახალი ხიბულის კეროვის სახელობის კოლმეურნეობას გადაეცა.

მეცხოველეობას — მთელი გულისყური!

უკვე იწურება მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ზაფხულის უკანასკნელი თვე — აგვისტო, ხოლო ოთხ თვეზე ცოტა მეტი დარჩა სამეურნეო წლის დამთავრებამდე. დიდი ამოცანების წინაშე არიან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც წლეულს გეგმის გადამეტებით უნდა აწარმოონ 120 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, სოფლის კომუნისტებისა და მშრომელების თავდადებული გარჯის შედეგად მთელ რიგ დარგებში წარმატებით სრულდება სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი. პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული საოსფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელება ბევრი პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. კომუნისტები, ჩვენი სახელოვანი ადამიანები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

იკისრე ვალდებულება? — შეასრულე კიდეც! ამ დევიზს კანონის ძალა აქვს, და ბევრგან სახურველი შედეგებიც მოჰყვა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გურჯაანელ, ზითელწყაროელ, სიღნაღელ, ლანჩხუთელ, ბოგდანოვკელ მეცხოველეთა შრომითი საქმიანობა. ისინი პარტიული ორგანიზაციების მტკიცე მბრძანებლობით და დახმარებით წარმატებით ასრულებენ პირობას, მკვეთრად გაზარდეს ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მაჩვენებლები.

მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ეს ჭეშმარიტება ყველამ კარგად იცის. მაგრამ საქმე ეხება იმას, ვინ როგორ იყენებს არსებულ რეზერვებს, როგორ აწყობს შრომას, ორგანიზატორულ მუშაობას მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვების შესაქმნელად.

ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ სიღნაღელ მეცხოველეებს. მათ უკვე ლიდი გადაჭარბებით შეასრულეს უხეში საკვების დამზადების გეგმა-ვალდებულება. ამ საქმეში დაწინაურდნენ ადიგენის, ხაშურის, გორის, გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის რაიონების მეცხოველეები.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა! ამ ლოზუნგით იღვწიან ახლა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ამას წინათ გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა განიხილა „სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები". ამ პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში, მერვე ხუთწლედთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზარდეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, განხორციელდა დიდი მუშაობა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის. მაგრამ სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალმა დონემ განაპირობა რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შედარებით მაღალი თვითღირებულება და რენტაბელობის დაბალი დონე.

დასამალავი როდია, რომ მთელი რიგი სახოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს მეცხოველეობის დარგის ზარალიანობა. საკმარისია ითქვას, რომ 1970-1974 წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად 73.885 ათასი მანეთი იზარალეს.

მეცხოველეობის აღმავლობის პრობლემა ყოველდღიურად უნდა აღელვებდეს ჩვენს სპეციალისტებს — ზოოტექნიკოსებს, ვეტერინარული სამსახურის მუშაკებს. მათი მოვალეობა დიდია. კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეს სპეციალისტი პასუხისმგებელია არსებული მდგომარეობისათვის, მით უმეტეს, როცა ამ გაცხარებული მუშაობის დღეებში ჩამორჩება საკვების დამზადება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია სპეციალისტებს სასარგებლო ინიციატივასა და უნარის გამოჩენაში მხარდაჭერა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, არ დაუშვან მათდამი ეგრეთწოდებული წვრილმანი მეურვეობა.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მეცხოველეობის სპეციალისტები ჩააბან აქტიურ შემოქმედებითს მუშაობაში, მათი საქმიანობა აიყვანონ თანამედროვე მოთხოვნათა დონემდე, განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინონ ახალგაზრდა კადრებისადმი და ერთობლივი საქმიანი ღონისძიებებით მიაღწიონ წარმატებას მიმდინარე სამეურნეო წლის მეცხოველეობის გეგმების შესრულებაში. სწორედ სპეციალისტთა დავდადებული, ნოვატორული საქმიანობით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობა იყოს რენტაბელური და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა შემოქმედებითად დადგიყვანოთ ინდუსტრიულ საფუძველზე.

ეს ამოცანები რომ შესრულდეს, საჭიროა გონივრული, ორგანიზატორული მუშაობის უფრო გაძლიერება, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების, შესაძლებლობის მაქსიმალურად ამოქმედება. ამ გზით ხელოდ ამ გზით შეიძლება დაძლიოთ ჩამორჩენა, რაც დღემდე, სამწუხაროდ, მაინც აბრკოლებს მეცხოველეობის განვითარებაში.

რესპუბლიკის მეცხოველეებმა გადაჭარბებით რომ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები, ამან არ უნდა დაგვამშვიდოს. მომავალში უფრო მეტია გასაკეთებელი ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განადღებისათვის. ვთქვათ, რატომ არის პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში ჩამორჩენა? ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში უხეში საკვების დამზადების დავალება შესრულებული იყო 55 პროცენტით, აქედან თივისა — 28 პროცენტით. ჩამორჩენა სილოსის დამზადებაშიც. ეს მეტნაკლებად შეეხება ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, კასპის, ბორჩალოს, წალკის, თეთრი წყაროს და მთელ რიგ სხვა რაიონებს. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს რაიონების უმრავლესობაში.

მართალია, ამ რაიონებში უხეში საკვების მარაგის შევსებას სიმინდის ჩალით აპირებენ, მაგრამ თივის დამზადების სეზონი იწურება და გეგმის შესრულება კი ხაფრთხეშია!

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები, საკვებმომპოვებლები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მოვალენი არიან მთელი გულისყური მიაპყრონ მეცხოველეობას, მისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ყველა იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და ჩვენი პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრას.

ხუთწლედი—ვადამდე!

შეჯიბრების მოწინავენი

ათას რვაასი კომკავშირელია რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში. მათი ერთი ნაწილი 17 კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაშია გაერთიანებული და დამკვრელურად შრომობს სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ბევრი ქიმიკოსი კომკავშირელი ახლა მომავალი წლის ანგარიშში შრომობს. მათ შორის არიან ლუიზა ცნობილაძე, მზია რატიანი, ნარგიზა ქურდაძე, ნაირა საკაევა და სხვ. ეს ახალგაზრდები და ბევრი ჭათი კოლეგა საუკეთესო ხარისხის პროდუქციას შეიტანს.

ახალგაზრდების ამ დიდი არმიის მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობს კომკავშირის საქარხნო კომიტეტი, რომელშიც მრეწავი ქიმიკოსებიც შედიან. ხაზარმოს საამქრო კომკავშირული ორგანიზაციები განუხრელად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ადგილებზე ავრცელებენ თბილისელ მეკოპეთა ინიციატივას, რომელიც ყოველ სამუშაო ადგილზე შრომითი ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული ქიმიკოსი, საგრეხი საამქროს კომკავშირის კომიტეტის წევრი მერი ბაბაური. იგი 1976 წლის ანგარიშში შრომობს.

მ. დათიკაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ისინი დროს უსწრებენ

ვ ანსაკუთრებით რთული დეტალების დამზადების ნამდვილი ოსტატია ხარატი ალექსანდრე ზიუბინი. იგი ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მექანიკურ სამამრეში შრომობს და სოციალისტური შეჯიბრების არაერთგზის გამარჯვებულია.

კომუნისტი ხარატი ქარხანაში ერთ-ერთი პირველი დადგა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ყოველდღიურ დავალებებს 160-170 პროცენტით ასრულებს. იგი მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

ა. ზიუბინი ფართო პროფილის ხარატია. იგი მაღალნაყოფიერად შრომობს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. ამ დღეებში იგი ენთუზიაზმით ჩაება შეჯიბრებაში, რომელიც თბილისელ მეკოპეთა ინიციატივით გაიშალა და გადაწყვიტა კიდევ უფრო მაღალხარისხოვნად შრომოს, სანიმუშო გახადოს საკუთარი სამუშაო ადგილი.

სურათზე: ბათუმელი მანქანათმშენებელი, **ხარატი ალექსანდრე ზიუბინი.**

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ფერმებს — საკვების მარაგი

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწრაფი ტემპით ამზადებენ საკვებს მეცხოველეობისათვის. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 4 აგვისტოსათვის ნათესი და ბუნებრივი ბალახი მეურნეობებში მოთიბულია 53,7 მილიონ ჰექტარზე. დამზადებულია (მიღებულია აქტებით) 32,8 მილიონი ტონა თივა — გეგმის 54 პროცენტი.

რუსეთის ფედერაციის მეურნეობებში აქტებით მიღებულია 17 მილიონი ტონა თივა, უკრაინაში — 1,9 მილიონი ტონა. ეს დაგეგმილი რაოდენობის ნახევარია. აღნიშნული სამუშაო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ტრანშეებსა და კოშკურებში ჩადებულია 40,6 მილიონი ტონა სენაჟი — იმ რაოდენობის ორ მესამედზე მეტი, რომლის მომარაგებაც გათვალისწინებულია ზამთრისათვის. ამ ძვირფასი საკვების დამზადების გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საქართველოს, მოლდავეთის, ყირგიზეთისა და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების მეურნეობებმა.

ნამჯა, ბზე და სხვა უხეში საკვები მომარაგებულია 33,2 მილიონი ტონა — გეგმის 30 პროცენტი. ზამთარში სპეციალურად დამუშავებული და ქიმიკატებით გამდიდრებული ეს საკვები კარგი დახმარი იქნება პირუტყვის ულუფაში.

მინდვრებში ყოველდღიურად გამოდის სულ უფრო მეტი სილოსის ასაღები კომბაინი. ფერმიანელეობის ფერმებთან იზრდება წვნიანი საკვების მარაგი. წვნიანი საკვები მომარაგებულია 12,3 მილიონი ტონა.

სრული დატვირთვით მუშაობენ ვიტამინიანი ბალახის ფხვნილის დასაწყობებელი აგრეგატები. იგი დამზადებულია 2,5 მილიონი ტონა — გეგმის 61 პროცენტი. (საკდესი).

მილიონი ტონა ზეგეგმითი ნავთობი

მილიონი ტონა ზეგეგმითი ნავთობი მიიღეს წლის დამდეგიდან დასავლეთსიბირელმა მრეწაველებმა. ეს 200 ათასი ტონით მეტია, ვიდრე წლიური სოციალისტური ვალდებულებებით ჰქონდათ გათვალისწინებული.

მათ გადაწყვიტეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მიიღონ 147 მილიონი ტონა ნავთობი, 22 მილიონით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული.

ტიუმენი. (საკდესის კორ.).

მეშახტეები გვპირდებიან

ტყიბული. ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი იბრძვის, თბილისის ფოლად-თუჯსამსმელი ქარხნის მეკოპეთა იმ ბრიგადის თარსნობისადმი, რომელსაც სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კურტანიძე. ამ წამოწყების არსის გაგება ამიერიდან მეშახტეთა კრება, რომელსაც 400-მდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი დაესწრო.

მეშახტეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და სკკპ XXV ყრილობის შესახებ ერად იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ითვალისწინებენ. კომპლექსური ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს ყოველი ცვლის ბოლოს გულმოდგინედ გაწმინდონ სანგრევები ქვანახშირის ნარჩენებისაგან და ამით სამუშაო ფრონტი მუუშაოდონ მომდევნო ცვლას. როგორც აქ ფიქრობენ, შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმის დანერგვით თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 5 პროცენტით გაიზრდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბურღვა-აფეთქებითი პასპორტის მტკიცედ დაცვას და უშუალოდ სანგრევში განხორციელდება მონგრეული ქვანახშირიდან თვალნათლივ ფუჭი ქანების ამორჩევა. ამ გზით გაუმჯობესდება ქვანახშირის ხარისხი და განიტვირთება საშახტო ტრანსპორტი.

ნოვატორმა მეშახტემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ე. სვანიძემ თავისი ბრიგადის წევრების სახელით იკისრა ყოველ ცვლაში მოანგრიოს 86 ტონა ქვანახშირი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 66 ტონისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიგადა წინათ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებას გადადებს არა ნაკლები 5 პროცენტით და ღირსეულად შეხვდება პარტიის XXV ყრილობას. ასევეა გადადებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს გ. ღურბელაშვილისა და ვ. მესხორაძის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა.

ბ. ციბერკაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხარს უჭერენ გ. კურტანიძის ბრიგადის ინიციატივას

გადის წევრებმა გადაწყვიტეს ყოველი ცვლის ბოლოს გულმოდგინედ გაწმინდონ სანგრევები ქვანახშირის ნარჩენებისაგან და ამით სამუშაო ფრონტი მოუმზადონ მომდევნო ცვლას. როგორც აქ ფიქრობენ, შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმის დანერგვით თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 5 პროცენტით გაიზრდება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბურღვა-აფეთქებითი პასპორტის მტკიცედ დაცვას და უშუალოდ სანგრევში განხორციელდება მონგრეული ქვანახშირიდან თვალნათლივ ფუჭი ქანების ამორჩევა.

ყველა მაჩვენებლით

ლანჩხუთი. ოთხ წელიწადნახევარში გაანადგა ხუთწლედის დავალება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ლანჩხუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა.

— ხუთწლედის დავალება შესრულებულია ყველა მაჩვენებლით, გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 139 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, შესრულებულია 325 ათასი ზეგეგმითი ტონა-კილომეტრი, მიღებულია 298 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გადაწყვიტა წლის ბოლომდე დამატებით გადაზიდოს 350 ათასი ტონა ტვირთი. (საკ. კორ.).

ა. ნ. კოსიგინს პოლონური ორდენი გადაეცა

ვარშავა, 12 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გადასცეს პოლონური დიდლენტიანი „დამსახურების ორდენი", რომლითაც იგი დაჯილდოებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრობის, თანამშრომლობისა და ერთიანობის, უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

მაღალი ჯილდო ა. ნ. კოსიგინს გადასცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. იაროშევიჩმა. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ორივე ქვეყანამ, რომლებიც ხელმძღვანელობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობისა და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, დიდი პროგრესს მიაღწია ურთიერთობის განვითარებაში. ეს არის მეგობრობის, ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც მოიცავს ჩვენი ხალხების ცხოვრების ყველა სფეროს. თქვენი ახლანდელი ვიზიტი პოლონეთში, თქვა პ. იაროშევიჩმა, ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაღრმავებას.

საპასუხო სიტყვაში ა. ნ. კოსიგინმა დიდი მადლობა გადაუხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს კავშირ-პოლონეთის მეგობრობისა და ორი ქვეყნის თანამშრომლობის განსამტკიცებლად მისი სანქციონრის მაღალი შეფასებისათვის და პოლონეთის სახელმწიფოს მაღალი ჯილდოთი მისი დაჯილდოებისათვის.

ამ დაჯილდოებით, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, როგორც ჩვენ გვესმის, გამოხატულია უწინარეს ყოველისა მოძმე პარტიისა და პოლონეთის სახელმწიფოს დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, ჩვენი მთავრობისა საქმეებისა და დამსახურებისადმი, რომელთათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან თანამშრომლობა, მეგობრობა და კავშირი გახდა არა მარტო პირველხარისხოვანი პოლიტიკური ამოცანა, არამედ თვითეული ჩვენგანის გრძნობის საქმეც.

ორდენის გადაცემას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. შიდლოაკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ტეიქმა, პოლონელთა გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრები კ. ბარციკოვსკი, ს. კოვალჩიკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. კრასკო, ი. პინკოვსკი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენთა პატივსაცემად

11 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა გაუმართეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს პალატის სპიკერი კ. ალბერტი.

დელეგაციის წევრებთან ერთად სადილად იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. ჯ. სტესელი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის მდივანი შ. ბ. გიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს ბ. ნ. პონომარიოვმა და კ. ალბერტმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

მასობრივი ტირაჟით

სომხეთისა და ყირგიზეთის გამომცემლობებმა შესაბამისად სომხურ და ყირგიზულ ენებზე მასობრივი ტირაჟით ბრძოლად გამოუშვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე 1975 წლის 13 ივნისს. (საკდესი)).

სენაჟი მეტი იქნება

სომხეთის საკვებმომპოვებელთა ბრიგადებმა დაიწყეს იონჯის სენაჟის დამზადება ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით, ფერმების ბეტონის ტრანშეებში უკვე ჩადებულია 160 ათას ტონაზე მეტი ნოყიერი საკვები. ეს 40 ათასი ტონით მეტია, ვიდრე დაამზადეს შარშანდელი წლის მანძილზე.

სომხეთის მეცხოველეებმა პირობა დაუდეს წელს 200 ათას ტონამდე გაზარდონ სენაჟის ჩადება. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პ. იაროშევიჩს

ვარშავა, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩს.

გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური ურთიერთობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის დაკვალთარების მრავალ სხვადასხვა საკითხზე, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის საკითხებზე აზრთა გაზიარებისას დიდი ყურადღება დაეთმო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1976-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შედეგებსა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გაღრმავებისათვის ორი ქვეყნის შემდგომ ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1975 წლის 9 აგვისტოს მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სიცოცხლის 69-ე წელს გარდაიცვალა ჩვენი დროის დიდი კომპოზიტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დმიტრი დმიტრის-ძე შოსტაკოვიჩი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციასთან

11 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ესაუბრნენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის წევრებს, რომელთაც პალატის სპიკერი კ. ალბერტი მეთაურობს.

შეხვედრა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ჯ. ბ. რუბენმა.

შეხვედრაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის ვიზიტი, აღნიშნა ბ. ნ. პონომარიოვმა, მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ-ამერიკისა და მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ჯანსაღ კურსებით მნიშვნელოვან პერიოდში. ამ ურთიერთობებში მომხდარმა ხასიათეთ შემობრუნებამ საფორ პირობები შეუქმნა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე.

შეეხო რა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა უშუალო პირადი კონტაქტების განსაკუთრებით პოზიტიურ როლს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მომწიფებული პრობლემების, უნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების განხილვაში, ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის განვითარების საქმეში მშვიდობის განმტკიცების საკითხებზე. „ჩვენ ბოლო ოცი წლის მანძილზე ბევრი ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ მოწყვეულ იქნეს მსოფლიო კონფერენცია განიარაღების საკითხებზე.

მეტად საჭიროა ეჭვგარეშედ მომავალს. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ერთ-ერთ თავის ბოლო გამოსვლაში მეოთხეგზეთ როდი წამოაყენა მასობრივი მოსპობის ახალი სისტემებისა და ახალსახეობათა იარაღის შექმნის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადების აუცილებლობის იდეა.

შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვი შეეხო ახლო აღმოსავლეთის სიტუაციას. მან განაცხადა, რომ შეეწყნარებელია, რაც ახლო აღმოსავლეთში მეტად საშიში სიტუაციაა. ასეთი მდგომარეობა არც ამ რაიონის ხალხების ინტერესებს ასახავს, და არც საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

შეეხო რა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხს, ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ ახლა ნათელი გახდა, რომ ჩვენი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საქმეში დიაკრიმინაციული მოქმედება და საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობის იმ ნორმალური პირობების მინიჭებისათვის უარის თქმა, როგორიცაც ამერიკის შეერთებული შტატების მეტ წილი სავაჭრო პარტნიორები სარგებლობენ, ზიანს აყენებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ ნაცვალგება. ურთიერთსარგებლიანობა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის მეთაური კ. ალბერტი. მან თქვა: ჩვენ აქ ჩამოვედით როგორც მეგობრები, აბასთან ვხელმძღვანელობთ თანამშრომლობისადმი მისწრაფებით. მე თანახმა ვარ, რომ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ჩვენმა პატივცემულმა კოლეგამ ბატონმა პონომარიოვმა ჩამოთვალა, უნდა გახდეს განხილვის საფუძველი. კ. ალბერტმა აღნიშნა, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას და რომ ამ პრობლემისადმი მიდგომაში ორი ქვეყნის პოზიციები ახლოს არის ერთმანეთთან.

პირადად ჩემი აზრით, თქვა შემდეგ კ. ალბერტმა, მეტად მნიშვნელოვანი იყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი. ვერსინკში მიღწეული შედეგები დიდ მნიშვნელოვანი წვლილია ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებაში.

მე მწამს დაძაბულობის შენელება, თქვა დასასრულ კ. ალბერტმა, მიტ წილ ამერიკელებს ასევე სწამთ დაძაბულობის შენელება და მხარს უჭერენ მას.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაზიარება დაძაბულობის შენელების, შეიარაღების, მათ შორის სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირების საკითხებზე.

გამოსვლებში აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოზიტიურ ძვრებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებაში, ამ ურთიერთობას — დაძაბულობის შენელების საერთო პროცესისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი რიგი დეპუტატები და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის წევრები.

12 აგვისტოს კრემლში გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაციის წევრებთან.

გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში თანამშრომლობის განვითარების შესახებ, მათ შორის ინფორმაციის გაცვლის, ტურიზმის განვითარების, განათლების, სპორტისა და ხელოვნების დარგში კონტაქტების გაფართოების საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ნაცვალგება და თვითეული სახელმწიფოს კანონმდებლობის პატივისცემა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა და ამერიკელი პარლამენტარების დისკუსიები ხელს შეუწყობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

საუბრის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი. (საკ. ფსი).

ჯანსუღ ჩარკვიანი

ზედ მიგიგბამ კართან ღრუბელს და ფურცვით მოგიწველი

ვინ მოსთქვლის, ვინ მიწა [illegible] რამდენნაირ ბოროტებას არ [illegible] რომ გადაგვერჩინა.

დღეს ბუნებამ გაგვიმეტ[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ახალი ტრადიციები

ლაშარის გორზე

მეცხოველის დღე—სახალხო დღესასწაული

გოგიგოლოთ გაეს სიტყვები — ეფირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა. ამ გორზე, ავეკასიონის კალთებზე დაბურული ტყეთა შორის ეკრიბებიან ხოლმე თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულზე — მეცხოველის დღეზე თიანელი მეცხვარეები და მწყეტავები და მათი მრავალრიცხოვანი სტუმრები.

ასე იყო წარსულ შაბათსაც. ლაშარის გორი და მისი მწვანე მინდორი უამრავი ხალხით აივსო. ღრუბლიანი დღე იყო და შედარებით ჩრილოდა. ისეც ლამაზი, ყოველმხრივ შემკული ბუნების წყაღი, კიდევ უფრო გალამაზა საზეიმო განწყობილებამ. მოვიდნენ სტუმრები დედაქალაქის ლენინის რაიონიდან, დუშეთიდან, ახმეტიდან, ლენინგორიდან, რომლებიც დიდი ხანია შრომითს მეტოქეობას უწევენ თიანელებს.

სახელდახელო მიტინგზე, რომელსაც ათასზე მეტი კაცი დაესწრო, პირველმა სიტყვა წარმოთქვა და დამსწრეთ დღესასწაული მიულოცა, ვეტერანმა მეცხვარემ ვ. წეროშვილმა. ივრისპირელ მეცხოველეთა სასახელო საქმეებზე ილაპარაკა პარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიხელმა.

შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთი შეცვალეს თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. გონჯილაშვილმა, გორანის კოლმეურნეობის თავკაცმა ვ. ბუჯიაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ერწოს საბჭოთა მეურნეობის მწყეტავმა საღომე მამადაშვილმა, უებოტის კოლმეურნეობის პარტიეთრის მდივანმა მ. ღვინიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ჯოჯიაშვილმა, ზოოტექნიკოსმა ი. მოსიაშვილმა, რაიცხოველმრეწვის საბჭოს თავმჯდომარემ მ. გორელაშვილმა, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა გ. ბუჯიაშვილმა.

მეცხოველეებს შრომაში ახალი წარმატებები და პირად ცხოვრებაში დიდი ბედნიერება უსურვეს პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ოდიშვილმა, ფუშეთის რაიონის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ი. სუარიძემ, პარტიის ლენინის რაიკომის განყოფილების გამგემ რ. მოსაშვილმა, ახმეტის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ახმეტელმა. პოეტმა ა. ხაიაურამ თავის თანამემამულეებს ლექსი მიუძღვნა. საკუთარი ლექსი წაიკითხა ავრეთვე ვეტერანმა კოლმეურნემ ა. დულუზაურმა.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ კინორეჟისორ რ. ჩხეიძის გამოსვლას, რომელმაც ქართული კინემატოგრაფისტთა სახელით მხურვალედ მიულოცა მეცხოველეებს დღესასწაული, ესურვა ახალი წარმატებები.

ახლო წარსულში ვეტერან მეცხვარეებს სერიოზულად აფერხებდათ, ვინ შეცვლიდა თან ამ როულ და ვაქკაცურ საქმეში. ცხოვრებამ დღის წესრიგიდან მოხსნა ეს საკითხი. ახალგაზრდობა ახლა ხალისით მიდის ცხვარში, ფერმებში. ამაღელვებელი იყო, როცა ტრიბუნაზე ავიდნენ სიმონიანთხეველი მ. ძიგურაშვილი და მისი ახალგაზრდა მეგობრები, რომელებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტეს პირდაპირ ლაშარის გორიდან წასულიყვნენ ცხვარში.

ვ. წეროშვილმა და სხვა ხანდაზმულმა მეცხვარეებმა გზა დაულოცეს ახალგაზდა მწყემსებს, გადაულოცეს მათ მამაპაპური ნაბდები, ფაფახები, კომბლები.

დიდხანს გაგრძელდა ზეიმი, რომლის საბაბი ნამდვილად ჰქონდათ ივრისპირელებს. წლეულს 6 თვეში რაიონის მეცხოველეებმა გადაჭარბებით გაანადღეს საწოლოო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები: ხორცისა — 106, რძისა — 120, მატყლისა — 130 პროცენტით.

მეცხოველეთა მტკიცე სიტყვაა დიდი გადაჭარბებით შეასრულონ მეცხრე ხუთწლედის ყველა დავალება. ამის გარანტიაა ის ადამიანთა თავდადებული შრომა, რომელთა სახელები დიდი პატივისცემით ჩამოთვალეს. მრავალი დაჯილდოვეს საპატიო სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით.

ეს შრომის ჭეშმარიტი ზეიმი, ნამდვილი სახალხო დღესასწაული გახლდათ.

...ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ლაშარის გორს ძველთ ლაშქარის გორი ერქვა, სადაც იკრიბებოდა სამშობლოს დასაცავად აღზევებული მთიელთა ლაშქარი. ახლაც იკრიბება აქ ახალი ლაშქარი, რომლის მებრძოლთა მოგვალეობაა დალაშქრონ შრომითი ზღუდეები.

წარმატება ვუსურვოთ მათ!

ა. თომაძე,
